ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2990283

ნომერი: AR1461444

თარიღი : 08.12.2016

გაცემის თარიღი : 09.12.2016

გაცნობის თარიღი : 12.12.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N57 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.13. N72

ორგანიზაცია:
- არკო კოდი: 405038739

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1461444 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N#57, არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N#01.14.05.005.089) საზღვრების კორექტირებას; პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლების თანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

ვინაიდან თქვენი მოთხოვნა, კორექტირების თაობაზე არ არის სრულყოფილი, საკითხის შემდგომი განხილვისათვის დამატებით (დახარვეზებულ ველებში) უნდა წარმოადგინოთ: – მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) სრულყოფილი ტოპოგრაფიული გეგმა, სადაც დატანილი იქნება მიწის ნაკვეთის არსებული და კორექტირებული კონტური. ამასთანავე არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა. აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ სამსახური განმეორებით განიხილავს საკითხს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.